ოქმი:**ო03.37221861**

თარიღი:**05/07/2022**

ოქმი № 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2022 წელი, 5 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ.მელუა, ბ.თოიძე, ნ.ღაჟონია, ტ.აროშიძე, მ.ვაშალომიძე, გ.შარაშენიძე, ქ.ხომერიკი,

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი :გ.ღურჯუმელიძე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, კომისიის წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა, ხოლო საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა გ.ღურჯუმელიძემ. გ.ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილების პროექტი ითვალისწინებს საკრებულოს მიერ უკვე დამტკიცებული დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას და ახალი დადგენილების მიღებას, პროექტში წარმოდგენილი ცვლილებები არის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის. ასევე, აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნებს წარმოადგენს: ა)სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული/თვითდასაქმებული ოჯახების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები) მხარდაჭერა, ბ) იმ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, რომელთა მიმდინარე/სამომავლო საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი წარმოების ზრდის, აგროტურისტული პოტენციალის განვითარების, საოჯახო მეურნეობის გაფართოების და პოპულარიზაციისკენ. გ) ადგილობრივ დონეზე თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, დ) დასაქმების ხელშეწყობა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი: ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი